თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ბრმა მათხოვარი

დიდი ხნის წინათ ერთი ქალაქის ბაზრის მოედანზე ბრმა მათხოვარი გამოჩნდებოდა ხოლმე. იგი სევდიანად გაჰყვიროდა:

— გთხოვთ მოწყალება გაიღოთ და ერთი სილაც მითავაზოთ. მე კი გიამბობთ, სიხარბემ როგორ დამაბრმავა და როგორ მომისპო დღის სინათლის ხილვის საშუალება.

ერთხელ ვიღაც გამვლელმა თხოვნა შეუსრულა. ბრმამ დაიწყო თავისი ამბის მოყოლა: „სახელად აბდულა მქვია. ბაღდადელი ვარ. მამის გარდაცვალების შემდეგ მისი დატოვებული ფულით ოთხმოცი აქლემი ვიყიდე. ბაღდადიდან ხან ბასრუმში გადამქონდა ტვირთი, ხან რომელიმე სხვა დიდ ქალაქში.

ერთხელ ჩემი ქარავნით ბაღდადში ვბრუნდებოდი. შუა გზაზე შევისვენე. უცბად საიდანღაც მოხუცი ბერი გამომეცხადა. მითხრა: მთებში ერთი ადგილი ვიცი. იქ დიდძალი განძია დამარხული. შენი ყველა აქლემი რომ დატვირთო, იმ განძს მაინც არა შეეტყობა რაო.

სიმდიდრის ხელში ჩაგდება მომინდა. ბერს ვუთხარი: თუ იმ ადგილს მაჩვენებ, ერთ აქლემს გაჩუქებ-მეთქი. მაგრამ ბერმა სანაცვლოდ ჩემი აქლემების ნახევარი მთხოვა. შევპირდი, რომ ორმოც აქლემს მივცემდი. გავუდექით გზას. მალე მივაღწიეთ მთებს. ვიწრო და დაბურულ ხეობაში შევედით. სწორედ იქ იყო განძი. შევნიშნე, რომ ბერმა ერთ-ერთი სკივრიდან პატარა კოლოფი ამოიღო და ჩუმად შეინახა.

როგორც იქნა, დავტვირთეთ აქლემები, გამოვაღწიეთ ხეობას და გზაზე გამოვედით. ბერმა მადლობა გადამიხადა და მითხრა: ახლა შენზე მდიდარი აღარავინ არის ქვეყანაზეო. შემდეგ ორმოცი აქლემი გადაითვალა და ბარისკენ გასწია. მე კი დანარჩენი ორმოცი აქლემით მშობლიური ბაღდადისკენ გამოვეშურე. მაგრამ სიხარბემ მძლია და ბერს ის ორმოცი

LIVEWORKSHEETS

აქლემი უკანვე მოვთხოვე. ესეც არ ვიკმარე. ის პატარა კოლოფიც მუქარით წავართვი. იმის თქმაც ვაიძულე, რა საიდუმლოება იმალებოდა კოლოფში. აღმოჩნდა, რომ კოლოფში უცნაური ფხვნილი იყო. ვინც მისი მოხმარება იცოდა, შეეძლო დაენახა, სად რა განძეული იყო ჩამარხული.

ვთხოვე ეჩვენებინა, როგორ უნდა მომეხმარა კოლოფი. მოხუცმა იგი გახსნა და მარჯვენა ქუთუთოზე რაღაც მომისვა. თვალწინ ჩამიქროლა მთებმა და ნათლად დავინახე, სად იყო დამალული მთელი ქვეყნის განძი. ვთხოვე, მარცხენა ქუთუთოზეც წამისვი-მეთქი. კარგი, წაგისვამ, მაგრამ იცოდე, რაც მოგივა, შენს თავს დააბრალეო, — მომიგო ბერმა და ის რაღაც ახლა მარცხენა ქუთუთოზე მომისვა.

უცებ ჩამობნელდა ირგვლივ. დავბრმავდი.

— შე უბედურო, რომ გაფრთხილებდი, რატომ არ დამიჯერე?! ახლა ვეღარაფერს გიშველი. მთელი შენი სიცოცხლე უნდა იტირო და წყევლო ის დღე, როცა სიხარბემ დაგაბრმავა, — მითხრა ბერმა, წავიდა და აქლემებიც თან წაიყვანა.

იმ დღიდან ასე დავეხეტები და ვმათხოვრობ.

ამის შემდეგ ვინც მოწყალებას გაიღებს, ყველას ვთხოვ, სილაც გამარტყან. ახია ჩემზე! სიხარბის გამო ჩემს თავს ასეთი სასჯელი მე თვითონ დავადე“.

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. რას გაჰყვიროდა მათხოვარი მოედანზე?

ა) გზა მიჩვენეთო.

ბ) სილა მითავაზეთო.

გ) ყურადღებით მომისმინეთო.

2. რას აცნობს აბდულა მსმენელებს თავდაპირველად?

ა) თავის წარმომავლობას.

ბ) თავის საქმიანობას.

გ) სიბრმავის მიზეზს.

LIVEWORKSHEETS

3. როგორ მოიქცა აბდულა მამის სიკვდილის შემდეგ?

ა) დიდმა სევდამ შეიპყრო.
ბ) ოთხმოცი აქლემი შეიძინა.
გ) სახლი სამუდამოდ დატოვა.

4. რა უთხრა ბერმა აბდულას?

ა) განძს გაშოვნინებო.
ბ) დახმარება გამიწიეო.
გ) კოლოფს გაჩუქებო.

5. რატომ მოსთხოვა ბერმა აბდულას ორმოცი აქლემი?

ა) აბდულას ქონება როგორმე ხელში რომ ჩაეგდო.
ბ) აქლემების პატრონს ნაკლები სიმდიდრე რომ დარჩენოდა.
გ) გაწეული სიკეთისთვის კუთვნული გასამრჯელო რომ აეღო.

6. როგორ მოიქცა აბდულა განძის პოვნის შემდეგ?

ა) ბერისთვის მიცემული პირობა მალევე დაარღვია.
ბ) ბერს მადლობის ნიშნად ერთი აქლემი აჩუქა.
გ) ბერს სხვა განძის საპოვნელად წასვლა შესთავაზა.

7. რა თვისება გამოავლინა აბდულამ?

ა) სიძუნწე. ბ) სიხარბე. გ) ცნობისმოყვარეობა.

8. რა ძალა ჰქონდა კოლოფში ჩაყრილ ფხვნილს?

ა) მისი დახმარებით ნებისმიერი განძის პოვნა იყო შესაძლებელი.
ბ) მისი დახმარებით სიხარბის დაძლევა იყო შესაძლებელი.
გ) მისი დახმარებით ყველა ხეობის მიგნება იყო შესაძლებელი.

LIVEWORKSHEETS

9. რას ნიშნავს გამოთქმა „ახია ჩემზე“?

ა) რაც დავიმართე, იმის ღირსი ვარ.

ბ) რაც შემემთხვა, ვერასდროს დავივიწყებ.

გ) რაც ჩავიდინე, მომავალში გავიმეორებ.

10. რატომ სთხოვდა მათხოვარი ხალხს სილის გაწვნას?

ა) სურდა კვლავ დაბრუნებოდა მხედველობა.

ბ) სურდა კიდევ უფრო დაესაჯა საკუთარი თავი.

გ) სურდა მსმენელთა სიბრალული დაემსახურებინა.

11. რომელი სიტყვებიდან ჩანს, რომ აბდულა მიხვდა თავისი დასჯის მიზეზს?

ა) „ნათლად დავინახე, სად იყო დამალული მთელი ქვეყნის განძი“.

ბ) „ორმოცი აქლემით მშობლიური ბაღდადისკენ გამოვეშურე“.

გ) „სიხარბემ დამაბრმავა და მომისპო დღის სინათლის ხილვის საშუალება“.

12. რა არის მოთხრობის მთავარი სათქმელი?

ა) მათხოვარი შებრალებას იმსახურებს.

ბ) სიმდიდრეს უბედურება მოაქვს.

გ) სიხარბე ადამიანის დამღუპველია.

LIVEWORKSHEETS